



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

20 მაისი 2024



N 255/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდ. ხრამზე შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,2 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში მდ. ხრამზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,5 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 25 აგვისტოს შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის (ნახიდური ჰესი – 7,5 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება № 2-758). 2021 წლის 22 ივლისს და 2023 წლის 30 მარტს აღნიშნული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანება: №2-1125 და №142/ს), რომელთა საფუძველზე, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები არ დაექვემდებარა გზშ-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში. გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ მდ. ხრამზე დაგეგმილია 7,2 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის – „ნახიდური ჰესის“ მშენებლობა, რომლის შემადგენლობაში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტები: სათავე ნაგებობა, თევზსავალი, სადაწნეო მილსადენი, ჰესის შენობა და გამყვანი არხი. ჰესის შენობიდან პირდაპირი მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს 1,7 კმ-ს (სოფ. ნახიდური), ხოლო სათავე ნაგებობიდან – 2,5 კმ-ს (სოფ. ქოსალარი).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წინასამშენებლო საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებით, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, სადაც გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დაგეგმილი იყო სადაწნეო მილსადენის საწყისი მონაკვეთის გაყვანა, ფიქსირდება ე.წ. პალეომეწყერი, რომელიც ამჟამად სტაბილიზებულია. ვინაიდან, სადაწნეო მილსადენის გაყვანის პროცესში, არსებობს აღნიშნული მეწყერის გააქტიურების ალბათობა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილია სადაწნეო მილსადენის საწყისი მონაკვეთის დერეფნის ადგილმდებარეობის ცვლილება და სათავე ნაგებობის სარკისებური შებრუნება. კერძოდ, საბაზისო პროექტის მიხედვით, სადაწნეო მილსადენის სიგრძე შეადგენდა 2690 მეტრს და მისი საწყისი მონაკვეთი, პკ 0+00-დან პკ 10+28-მდე, გადიოდა მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე.

აღნიშნული მილსადენი, პკ 10+28-დან პკ 11+16-მდე, მარჯვნიდან მარცხენა ნაპირისაკენ, აკვედუკის მეშვეობით, კვეთდა მდინარეს, პკ 11+16-დან პკ 25+30-მდე გადადიოდა მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე და მარცხნიდან მარჯვენა ნაპირისაკენ, მეორე აკვედუკის მეშვეობით, კვლავ კვეთდა მდ. ხრამს, რის შემდგომაც პკ 26+86-ზე, სააგრეგატე შენობასთან გადადიოდა სატურბინე განშტოებებში. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, სადაწნეო მილსადენის საწყისი მონაკვეთი, რომლის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 1,150 კმ-ს, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირიდან გადაინაცვლებს მარცხენა ნაპირზე, რაც აღნიშნული მონაკვეთის სიგრძეს შეამცირებს დაახლოებით 1 კმ-მდე. საპროექტო მონაკვეთის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-471081 Y-4593674; X-472025 Y-4593504. აღსანიშნავია, რომ საპროექტო მონაკვეთით მდ. ხრამის გადაკვეთა მოხდება მხოლოდ ერთხელ და შესაბამისად, საბაზისო პროექტით გათვალისწინებული 2 აკვედუკის ნაცვლად მოეწყობა მხოლოდ ერთი აკვედუკი (GPS კოორდინატები: X-473065,3807 Y-4593118,0195; X-473135,9654 Y-4593131,3662).

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სადაწნეო მილსადენის საწყისი მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირზე გადატანა დაკავშირებული იქნება სათავე ნაგებობის სარკისებურ ცვლილებასთან. საბაზისო პროექტის მიხედვით, სათავე ნაგებობის წყალმიმღები კვანძი განთავსებული იყო მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, ხოლო წყალსაგდები კაშხალი – მარცხენა ნაპირზე. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით წყალმიმღები კვანძი მოეწყობა მდინარის მარცხენა ნაპირზე, ხოლო წყალსაგდები კაშხალი – მარჯვენა ნაპირზე. ამასთან, სათავე ნაგებობის შემადგენელი ობიექტების პარამეტრები, კონსტრუქცია, განთავსების ნიშნულები, შესასრულებელი ბეტონის სამუშაოებისა და არმირების მოცულობები დარჩება უცვლელი.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. საკვლევ არეალში გამოიყოფა ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რომელიც წარმოდგენილია ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხნარით – კენჭნარის, ღორღისა და ნატეხოვანი მასალის ჩანართებით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკი მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება საბაზისო პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის, მასშტაბის, გამოსაყენებელი ტექნიკისა და სქემის ცვლილებას. მშენებლობის ეტაპზე გამოყენებული იქნება საბაზისო პროექტის ფარგლებში სააგენტოსთან შეთანხმებული სამშენებლო ბანაკები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება ექსკავირებულ გრუნტს, მისი ძირითადი ნაწილი (80-90%) გამოყენებული იქნება უკუყრისთვის, ხოლო მცირე ნაწილი (10-20%) განთავსდება საბაზისო პროექტის ფარგლებში სააგენტოსთან შეთანხმებულ სანაყაროებზე. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიიდან (40759 მ²), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 35251 მ² წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, კერძოდ, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის თეთრიწყაროს სატყეოს (კვარტალი №46 და №47), საიდანაც 1401 მ² ზედდებამია საბაზისო პროექტით გათვალისწინებულ ტერიტორიასთან. სკრინინგის განცხადების თანახმად, საბაზისო პროექტით მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე გათვალისწინებული სადაწნეო მილსადენის საწყისი მონაკვეთის მოსაწყობად საჭირო იყო 25823 მ² სახელმწიფო ტყის ტერიტორიის ათვისება, ხოლო ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, საჭირო იქნება 33850 მ² სახელმწიფო ტყის ტერიტორიის ათვისება. იმის გათვალისწინებით, რომ სადაწნეო მილსადენის საწყისი მონაკვეთის მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირზე გადანაცვლებით მდინარის მარჯვენა ნაპირზე საბაზისო პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის ათვისება აღარ მოხდება, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, სახელმწიფო ტყეში მოქცეული ტერიტორიის ფართობი, საბაზისო პროექტთან შედარებით, გაიზრდება 8027 მ²-ით. დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად კომპანია გეგმავს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებას.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული ფლორისტული და ფაუნისტური კვლევების შედეგები. წარმოდგენილი ტაქსაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საჭირო იქნება 29 ძირი ჯაგრცხილასა და 10 ივანის მოჭრა. რაც შეეხება ფაუნისტურ გარემოს, ჩატარებული კვლევის მიხედვით, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე არსებული ფონური გარემო, სადაც გათვალისწინებულია სადაწნეო მილსადენის საწყისი მონაკვეთის გადატანა, არსებითად არ განსხვავდება მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე არსებული ფონური გარემოსგან, რომელიც დეტალურად იქნა შესწავლილი გზმ-ის ფარგლებში. დოკუმენტის თანახმად, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გაზრდა გათვალისწინებული არ არის, ფაუნისტურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ექნება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, სადაწნეო მილსადენის საპროექტო მონაკვეთი, მდ. ხრამს, ნაცვლად ორი წერტილისა, გადაკვეთს მხოლოდ ერთ წერტილში, რაც შეამცირებს უშუალოდ მდინარის ნაპირზე ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს და წყლის გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების გამოვლენის მიზნით, ჩატარდა ზედაპირული დაზვერვები. მიღებული შედეგებით, საკვლევ არეალში დადასტურდა არაერთი არქეოლოგიური ობიექტის არსებობა. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, მიწის სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია არქეოლოგიური კვლევა-ძიების სამუშაოების განხორციელება. ამასთან, ვინაიდან, საპროექტო არეალის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის ალბათობა მაღალია, მათი დაზიანება/განადგურების თავიდან აცილების მიზნით, მიწის სამუშაოები უნდა წარიმართოს არქეოლოგიის მეთვალყურეობით. საპროექტო არეალში დაგეგმილი მიწის სამუშაოების დაწყების თანხმობა, გაიცემა მხოლოდ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიშის სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის შემდგომ.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მახასიათებლებისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, მდ. ხრამზე შპს „ნახიდური ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის („ნახიდური ჰესი“ – 7,5 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 25 აგვისტოს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-758) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა შეათანხმოს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
4. შპს „ნახიდური ჰესი“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს აღნიშნული სამუშაოების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შეთანხმება;
5. შპს „ნახიდური ჰესისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 25 აგვისტოს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-758) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნახიდური ჰესს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნახიდური ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

